გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 51
(11 610)

5 – 8 ივლისი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარჯვი საქართველოს!



## მილოცვა ლერი ხაბელოვს!

ბატონო ლერი! ძმაო ლერი!

უპირველესად, მოგესალმები და მთელი სპორტული საზოგადოებრიობისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სახელით გულწრფელად მოგილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებ დიდ ბედნიერებას ახალ შექმნილ ოჯახთან ერთად, იხარე და იმრავლე ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

გვჯერა და გვწამს, რომ კვლავაც გააგრძელებთ ორ ხალხს შორის მეგობრობის ხიდის აღდგენის საქმეს. ჩვენ გვეამაყება, რომ ჩვენს გვერდით ცხოვრობს და მოღვაწეობს დიდი ბუნების ადამიანი, კაცური კაცი, დიდი სპორტსმენი და კარგი მეგობარი ლერი ხაბელოვი.

მრავალჯერ მოგველოცოს დაბადების დღე და მრავალი ღირსშესანიშნავი დღე თქვენს ხანგრძლივ ცხოვრებაში.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ირაკლი მეძმარიაშვილი

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით,
სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე

„ლელოს“ რედაქცია და ლელოელები გულწრფელად ულოცავს დაბადების დღეს თავის მუდამ ერთგულ მეგობარს ლერი ხაბელოვს

## ბადრი გავაშელიშვილი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე



და მოვიდა კიდევ ერთი გამარჯვება, მოვიდა რწმენად და იმედად იმისა, რომ ქართულ სპორტში ტალანტები არ დაილევა და ჯერ კიდევ უწვერულვაშო ჩვენი ბიჭები კიდევ შედგამენ ფეხს მაღალ სპორტულ მწვერვალებზე. ჯერის ჯერის რიგი არ დაილევა. ამჯერად კიდევ ერთი ქართველი ყმაწვილის გამობრწყინების ჯერი დადგა. ის 17 წლამდე ძიუდოისტთა ევროპის პირველობის უმაღლეს კვარცხლბეკზე ავიდა, მაგრამ ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილი დარწმუნებულია, რომ სწორედ ამ კვარცხლბეკიდან გაიჭრა ზემო მაჩხაანელი ბადრი გავაშელიშვილისათვის დიდ სპორტში მიმავალი გზა-ბილიკი, გამოცდილ მწვრთნელს დაეჯერება. საბა, – ასე ეძახიან ბადრი გავაშელიშვილს, ამჟამად თბილისში სწავლობს, ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელში. 1987 წელსაა დაბადებული, კეთილაღნაგიო, სწორედ მასზე ითქმის, 178 სმ სიმაღლისაა და 81 კგ-ს იწონის. თავიდანვე ვაჟა მოსულიშვილმა ჩააბა სექციაში, ამჟამად კი მისი პირადი მწვრთნელი მალხაზ შეშაბერიძეა.



ბადრი გავაშელიშვილი

ევროპის ამ პირველობაზე უნგრეთის ქალაქ გიორში 200-ზე მეტი ჭაბუკი ჩაება კონტინენტის 44 ქვეყნიდან. საბამ გამარჯვებით დაიწყო, მერე ყველა შეხვედრა მოიგო და ფინალში რუსეთელ რუსლან ტმენოვთან ბრწყინვალე გამარჯვებით მოიპოვა ოქროს მედალი.

ვამბობთ წარმატებაზე, მაგრამ უნდა ითქვას, კიდევ ერთხელ, იმ პრობლემებზეც, რომლებიც, როგორც სავალალო წესი, ჩვენი გუნდების უცხოეთში გამგზავრების თანამდევია. ოთხი მონაწილის ხარჯები მშობლებმა გაიღეს. საბა გავაშელიშვილი კი წითელწყაროს რაიონის გამგეობამ დააფინანსა. სპორტსმენმაც დაუფასა ამაგი მშობლიურ რაიონს. თანმხლები მწვრთნელის ფულიც მშობლებმა გადაიხადეს. ექვსეულში მოხვდა საგარეჯოელი (სოფ. უდაბნო) დავით ასუბანი, რომელიც ასევე ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელში სწავლობს.



## ლერი ჩიტაიშვილი ევროპის პრიზიორია

მძლეოსნობაში ევროპის საკლუბო გუნდების პირველობის ფინალურ ეტაპზე საასპარეზოდ ქართველ მძლეოსნთა ერთი ჯგუფი ახლახან მოსკოვში დამთავრებულ ჭაბუკთა თამაშებიდან გაემგზავრა ტალინში და ჩვენი ქვეყნის ერთიან ნაკრებს შეუერთდა.

როგორც იცით, მოსკოვში თამაშების ვერცხლის მედალი მოიპოვა ოზურგეთელმა მამუკა ტუღუშმა ბირთვის კვრაში, ამჯერად ტალინში კი თავი ისახელა თბილისელმა უროს მტყორცნელმა ლერი ჩიტაიშვილმა, (მწვრთნელი ვ. დელიბაშვილი), რომელმაც მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა, რაც, უდავოდ დიდი წარმატებაა. მართალია, პრიზიორები ვერ გახდნენ, მაგრამ ცუდად არ უასპარეზიათ ჩვენი ნაკრების სხვა წევრებს: დ. ილარიანს (სიგრძეზე ხტომა და 110 მ. თარჯრბენი), მ. ტუღუშს (ბირთვი), მ. ქევხიშვილს (ბირთვი), ი. დუბინას (სამხტომი), ზ. ზილბერშტეინს (5000 მ), ს. ტურიატკოს (სამხტომი, 400 მ. თარჯრბენი), ზ. შეთეკაურს (შუბი), ეს მათი საერთო ძალისხმევის შედეგია, რომ ევროპის 16 უძლიერეს საკლუბო გუნდთან ასპარეზობაში ჩვენმა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში VII ადგილი დაიკავა.

## ბადრი ხასაია ევროპამ საუკეთესო ფალავნად აღიარა

ქართული სპორტის ისტორიაში კიდევ ერთი საამაყო მოვლენა ჩაიწერა. პირველად ქართველი მოჭიდავე აღიარებულია ევროპის საუკეთესო ფალავნად თავისუფალი ჭიდაობის სამყაროში. ეს არის 21 წლის ბადრი ხასაია, რომელმაც სულ ახლახან შეაბიჯა დიდ სპორტულ სარბიელზე. მოიტოვა რა უკან ჭაბუკობისა და ახალგაზრდობის წლებში მოპოვებული არაერთი თვალსაჩინო წარმატება, ბადრი ზრდასრულთა ხალიჩაზეც ამაყად გავიდა და წლეულს, აპრილში, როგორც „ლელოს“ მკითხველებმა უკვე იციან, ევროპის ჩემპიონი გახდა. მაშინ ამ გამარჯვებამ სენსაცია გამოიწვია არა მხოლოდ იმიტომ, რომ დებიუტანტმა სასწაული მოახდინა, არამედ უფრო იმიტომ, რომ ჭიდაობის სამყაროს მოევლინა ჭეშმარიტი ფენომენი. სპეციალისტების ყურადღება განსაკუთრებით მას შემდეგ მიიპყრო ქართველმა მოჭიდავემ, როცა მან ნახევარფინალში მსოფლიო ჩემპიონს სძლია, ფინალში კი დამაჯერებლად მოუგო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს. დიახ, ეს ნამდვილი სენსაცია იყო.

ევროპის ამ ჩემპიონატის შემდეგ უნდა დასახელებულიყო კონტინენტის 2002 წლის საუკეთესო ფალავანი. ფილას ექსპერტებმა გულდასმით შეაჯერეს ყველა მონაცემი (სპორტული შედეგების გარდა ფასდება სპორტსმენის აღნაგობა, ინტელექტი და ა.შ.) და გამარჯვებულად ქართველი ბადრი ხასაია სცნეს. ამ ფაქტმა ასახვა ჰპოვა ფილას ჟურნალში.

ბადრი ხასაიას მწვრთნელის დათო დავითაიას კომენტარი: „გახსოვთ ალბათ, პირველად „ლელოში“ განვაცხადე, რომ ამ ბიჭისგან დიდი სპორტსმენი დადგებოდა. შეგახსენებთ, რომ ბადრი ჩემთან 12 წლისა მოიყვანეს სენაკიდან. მაშინ იგი მხოლოდ 27 კგ-ს იწონიდა. პირველსავე ვარჯიშზე შევატყვე, რომ ბიჭი მონდომებული, შრომისმოყვარე ჩანდა. სპორტში ეს ყველაფერს ნიშნავს. მერე და მერე დავრწმუნდი, რომ ბიჭს საკუთარი ხელწერა ჰქონდა. თავს არ მოვახვიე შაბლონი. ჭიდაობის მისეული მანერის სრულყოფა დავიწყეთ და მალე მივიღეთ სასურველი შედეგი. შესანიშნავი ბუნების ახალგაზრდაა, თავმდაბალი, მოწესრიგებული, რაც დისციპლინასაც გულისხმობს, მეგობრული და, რაც მთავარია, მწვრთნელის მიმნდობი. ამ ღირსებებს დიდად ვაფასებ. მადლობელი ვარ, რომ ასეთი ათლეტი გაიზარდა ჩემს ხელში.

KHASAIA Badri

Pays: Georgia
Né: 24. 09. 1979
Style: Lutte Gréco-Romaine
Poids: 74 kg
Club: Shevardeni Tbilissi
Entraineur: DAMERLAN Davidaia
Profession: athlète

Son chemin glorieux:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1995 | Championnat du Monde Cadet | 60 kg | 2-ème |
| 1996 | Championnat du Monde junior | 63 kg | 12-ème |
| 1998 | Championnat d'Europe junior | 70 kg | 4-ème |
| 1998 | Championnat du Monde junior | 70 kg | 3-ème |
| 1999 | Championnat d'Europe junior | 76 kg | 1-er |
| 1999 | Championnat du Monde junior | 76 kg | 5-ème |
| 2002 | Championnat d'Europe senior | 74 kg | 1-er |



რასაც მივაღწიეთ, ეს დასაწყისია. მხოლოდ დიდ შედეგებზე ვართ ორიენტირებული. ბადრი ყველა მითითებას უყოყმანოდ ასრულებს, ოღონდ დატვირთე, ოღონდ მეტი ავარჯიშე და მზადაა ქანცგაწყვეტამდე გამოგყვეს. ყოველდღე ვზრდით კონდიციებს. მთავარი ამოცანა გამოკვეთილია – ბადრი 2004 წელს, ათენში, ოლიმპიური ჩემპიონი უნდა გახდეს. მადლობა ღმერთს, რომ მარტო აღარ ვართ, მხარში გვიდგას ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი, რომელსაც სჯერა ჩვენი და იმედს არც ჩვენ გავუმტყუნებთ.

საქართველოში რჩეულმა ფალავნებმა სამარადჟამოდ დაამკვიდრეს თავისი გვარ-სახელი. ახლა გეუბნებით, კარგად დაიხსომეთ, ბადრი ხასაია იქნება ბადრი ხასაია!“

ბადრი ხასაია: „თავს ბედნიერად ვთვლი, რომ მწვრთნელისა და ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტის ამაგის დაფასება შევძელი. უკვე ვგრძნობ, რომ თავისუფალი ჭიდაობის სამყაროსთვის ანგარიშგასაწევი სპორტსმენი გავხდი. ამიტომ მეტი მუშაობით და თავდადებით შევეცდები უფრო თვალსაჩინო გავხადო წარმატებები. სექტემბერში მსოფლიო ჩემპიონატში გამოვალ, უკვე ევროპის საუკეთესო ფალავნის რანგში მომიწევს ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა, რისი პასუხისმგებლობაც კარგად მაქვს შეგნებული“.

ც. ბაქრაძე

## ეს ბიჭიც ქართველია!

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2002 წლის საუკეთესო ფალავნად დასახელებულია რუსეთელი დავით მუსულბესი. ეს ბიჭიც ძირით ქართველია, ოღონდ, საქართველოში არ დაბადებულა, გვარიც თავისი ნებით არ შეუცვლია. ადრე, პაპა გადახვეწილა ჩრდილო კავკასიაში თავსგადამხდარი ერთი უსიამოვნო ამბის გამო. ჩვენი ათლეტები დათოს კარგად იცნობენ, ჩოხელი ყოფილა წარმოშობით. თურმე სულ ქართველ ბიჭებთან ტრიალებს, როცა ერთად არიან სხვადასხვა შეჯიბრებებზე, მეგობრობს მათთან.

მოკლედ, ევროპის საჭიდაო სამყაროში ქართული გენი ზეობს!




MUSULBES David

Pays: Russie
Né: 25. 05. 1972
Style: Lutte Libre
Poids: 120 kg
Club: CSKA Moscow
Entraineur: DEDEGKAEV S. BJASOV
Profession: Ingénieur

Son chemin glorieux:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1994 | Championnat d'Europe senior | 100 kg | 8-ème |
| 1994 | Championnat du Monde senior | 100 kg | 3-ème |
| 1995 | Championnat d'Europe senior | 100 kg | 1-er |
| 1995 | Championnat du Monde senior | 100 kg | 11-ème |
| 1995 | Jeux du Monde Millitaire | 100 kg | 3-ème |
| 1995 | Coup du Monde | 100 kg | 1-er |
| 1996 | Championnat d'Europe senior | 100 kg | 3-ème |
| 1997 | Championnat d'Europe senior | 125 kg | 1-er |
| 1997 | Championnat du Monde senior | 130 kg | 3-ème |
| 1997 | Jeux du Monde Millitaire | 130 kg | 1-er |
| 1997 | Coup du Monde | 125 kg | 3-ème |
| 1998 | Championnat d'Europe senior | 130 kg | 3-ème |
| 2000 | Championnat d'Europe senior | 130 kg | 2-ème |
| 2000 | Jeux Olympique | 130 kg | 1-er |
| 2001 | Championnat d'Europe senior | 130 kg | 1-er |
| 2001 | Championnat du Monde senior | 130 kg | 1-er |
| 2002 | Championnat d'Europe senior | 120 kg | 1-er |



* * *

*სურათებზე: ფილა-ს ჟურნალის გარეკანი (მარცხნივ) და მის ფურცლებზე გამოქვეყნებული ხასაიას და მუსულბესის დოსიე ფოტოპორტრეტებით.*

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 1 თვე დარჩა

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 7 თვე გვაშორებს

## ლერი ხაბელოვი: „პოლიტიკოსებმა ხალხისგან უნდა ისწავლონ ხალხებთან ურთიერთობა"

**სახელდახელო ინტერვიუ**

**ლერი ხაბელოვი: დაიბადა 1964 წლის 5 ივლისს, თბილისში თავისუფალ ჭიდაობაში 1992 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1988 წლის თამაშების ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1985, 1987, 1990, 1991, 1993) და მესამე პრიზიორი (1995), მსოფლიოს თასის მფლობელი (1991), ჭაბუკებში (1982) და ახალგაზრდებში მსოფლიოს ორგზის (1983,1984) და ევროპის პირველობის (1984) გამარჯვებული, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი (1986), სსრ კავშირის ჩემპიონი (1985, 1987, 1988), რუსეთის ჩემპიონი (1993, 1995).**

*გუშინ დილით ლ. ხაბელოვს, — საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს თავის სამუშაო კაბინეტში შევხვდით.*

● ***ბატონო ლერი, როგორ დაიწყო თქვენი სამუშაო დღე?***

— დილით ხუთ საათზე დავიძინე, ათის ნახევარზე ავდექი. სტუმრები მყავდა. ათზე ქალაქის პირველ საავადმყოფოში მქონდა შეხვედრა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჩვენი ნაკრების ექიმთან გოგი ჭუმბურიძესთან. ახლა აგერ ვარ, დეპარტამენტში.

● ***დილისგამამხნევებელივარჯიშის ჩატარებაც მოასწარით?***

— სამწუხაროდ, დღეს არა. ისე, კვირაში სამჯერ ვახერხებ ვარჯიშს, მეტწილად კუს ტბაზე.

● ***მთელი ცხოვრება შეჩვეული იყავით მკაცრ რეჟიმს. ახლა?***

— სპორტი თავისას ითხოვდა, ახლა თავისუფალი ვარ.

● ***დიდი სპორტიდან, ანუ აქტიური სპორტიდან წასვლას აღიარებული სპორტსმენები სხვადასხვაგვარად განიცდიან, მტკივნეულადაც კი. თქვენ როგორ განთავისუფლდით ამ განცდებისგან?***

— ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ადრე თუ გვიან, დადგებოდა საჭიდაო ხალიჩიდან წასვლის დრო. ასე რომ, ფსიქოლოგიურად შემზადებული ვიყავი საამისოდ. წასვლა მტკივნეულად ნამდვილად არ განმიცდია. ისიც დამეხმარა, რომ მუდამ საჭიდაო სამყაროში ვტრიალებდი.

● ***მწვრთნელობა რატომ არ სცადეთ?***

— არასდროს მქონია მისწრაფება. მწვრთნელობა დიდი პასუხისმგებლობაა. მით უმეტეს, უამრავი მაგალითი ვიცოდი, როცა დიდი სპორტსმენისგან დიდი მწვრთნელი არ შედგა.

● ***ფუნქციონერობა არ არის ტვირთი?***

— რა თქმა უნდა, არის. დიდია პასუხისმგებლობაც. როცა ხელმძღვანელად ვიწყებდი მუშაობას, მეგონა, რომ ჩემს ცოდნას, გამოცდილებას და ჭიდაობისადმი უსაზღვრო სიყვარულს ახალი ჩემპიონების აღზრდას მოვახმარდი, მაგრამ, რაკი ძველი მწყობრი სისტემა სპორტშიც მოიშალა და თავი იჩინა ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, სპორტის ხელმძღვანელებსაც შეგვეკრა ხელ-ფეხი.

● ***გრძნობთ თუ არა, რომ სპორტისადმი დღევანდელმა დამოკიდებულებამ შეიძლება კრიზისამდე მიგვიყვანოს?***

— სამწუხაროდ, ეს აშკარად შეიგრძნობა და გამოსავალიც არ ჩანს. სხვა რომ არაფერი, ახლო მომავალში შეიძლება მწვრთნელთა კრიზისიც დაგვიდგეს. მწვრთნელი კი სპორტში, მოგეხსენებათ, მთავარი ფიგურაა. სპორტის აკადემიაშიც იკლო მწვრთნელთა ფაკულტეტზე შესვლის მსურველთა რიცხვმა.

### მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს და ვერცხლის პრიზიორს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს,საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ლერი ხაბელოვს.

● ***თქვენ დიდი ავტორიტეტი გაქვთ, როგორც ქართველებში, ისე ოსებში. ვიცით, რომ ბევრს აკეთებთ ამ ორ ხალხს შორის მეგობრობის ტრადიციებისა და ნდობის აღსადგენად. ახლო მომავალში ამ მიმართულებით ახალს ხომ არაფერს გეგმავთ?***

— სპორტულ სამყაროში მეგობრობა არ მოშლილა. ჩვენ ჩავდივართ ჩრდილო ოსეთში და ისინიც ჩამოდიან ჩვენთან ერთობლივ შეჯიბრებებში სასპარეზოდ. აქაც და იქაც ერთმანეთს სიყვარულში ვეჯიბრებით. სახალხო დიპლომატია თავის საქმეს აკეთებს პოლიტიკოსებისგან განსხვავებით. ძალიან გვინდა, რომ პოლიტიკოსებმა ხალხისგან ისწავლონ ხალხებთან ურთიერთობა. ჩვენ ხომ ისტორიული ფესვები გვაერთიანებს. ამას გვერდს ვერავინ აუვლის. ახალი კი ის არის, რომ შეიქმნა ვეტერან მოჭიდავეთა საბჭო გურამ საღარაძის თავკაცობით. მისი მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება ქართველ და ოს ხალხებს შორის მეგობრობის გაღრმავება-განმტკიცებაა. ამ ორი ხალხის მოჭიდავეთა ამქარს ენდობა ხალხი. ეს ბევრს ნიშნავს.

● ***საქართველოს ჭიდაობის სამყარო ერთიანი, შეკრული ოჯახია. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი ამ ოჯახში?***

— ყველანი ვართ ერთი ოჯახის სრულუფლებიანი წევრები და თითოეული ვაკეთებთ იმას, რაც შეგვიძლია. მთავარი ღირებულება ტრადიციებია. ჩემმა თაობამ უფროსებისგან ისწავლა ბევრი რამ, მათ შორის კაცობა, მეგობრობა, თანადგომა, მოყვასის სიყვარული. ახალგაზრდა თაობისთვის ჩვენც მაგალითის მიმცემი უნდა ვიყოთ. ვფიქრობ, რომ ამას ყველა ვახერხებთ.

● ***თქვენი ზოდიაქო კირჩხიბია. ამ ნიშნით დაბადებული ადამიანები სიბერემდე ინარჩუნებენ თავიანთ ახალგაზრდულ „შეხედულებებს". შეიცვალა რამე თქვენში?***

— არა. ნამდვილად ვამართლებ ზოდიაქოს ნიშნის თვისებებს. თუმცა, ჯერ სიბერემდე შორსაა, თავს 17 წლის ყმაწვილივით ვგრძნობ, შეხედულებებს კი წლობით დაგროვილი გამოცდილება და სიბრძნე ახვევს თავისებურ საბურველში.



განუყრელი მეგობრები — მარცხნიდან: არსენ ფაძაევი, ლევან თედიაშვილი და ლერი ხაბელოვი თბილისში, 2000 წელს გამართული ერთ-ერთი ასპარეზობის დროს

● ***და კიდევ, კირჩხიბები ძალიან მომთმენები არიან...***

— ამაშიც ვამართლებ. 1988 წელს ოლიმპიური ჩემპიონი უნდა გავმხდარიყავი. შემთხვევით მომეცარა ხელი, წავაგე ათლეტთან, რომელთანაც არამც და არამც არ უნდა წამეგო. რა უნდა მექნა? ოთხი წელი ვითმინე და საწადელს მაინც მივაღწიე.

● ***რაკი სიტყვამ მოიტანა, თქვენ მოიპოვეთ ყველა სპორტული ტიტული. დაგრჩათ აუსრულებელი ოცნება?***

— არა, მაგრამ ხინჯად დამრჩა გულში, რომ 1988 წელს ვერ გავხდი ოლიმპიური ჩემპიონი. არადა, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ამისთვის კიდევ ოთხი წლით მოცდა არ მომიწევდა.

● ***დიდი ხანი არაა, რაც მეუღლე შეირთეთ. ბედნიერი ოჯახის შექმნას გისურვებთ „ლელოს" მკითხველთა სახელით.***

— დიდი მადლობა. „ლელოს" და მის მკითხველებს მუდამ გქონდეთ ჭიდაობის სამყაროს თანადგომის იმედი.

ესაუბრა
თ. თომაშვილი

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!**

## ქართული ჭიდაობის ზეიმი საგარეჯოში

ქ. საგარეჯომ დიდ და საინტერესო სპორტულ ასპარეზობას უმასპინძლა. ქალაქის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა საქართველოს რეგიონებს შორის გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ აჭარის, მესხეთ-ჯავახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, კახეთისა და თბილისის (მხარის უფლებით) ნაკრები გუნდები. შეჯიბრებას ქართული ჭიდაობის ბევრი თაყვანისმცემელი ესწრებოდა. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ ქართული ჭიდაობის ფედერაციის ახლადარჩეული პრეზიდენტი, პარლამენტარი გიორგი ლიპარტელიანი, საქართველოს სპორტული დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მსოფლიოს ხუთგზის და ოლიმპიური ჩემპიონი ლერი ხაბელოვი, საქართველოს პარლამენტის წევრები, ვეტერანი სპორტსმენები, რაიონის გამგებელი თენგიზ ოქროცვარიძე...

პირველობა ჩატარდა ოლიმპიური სისტემით (მთავარი მსაჯი გახლდათ რაიონის მკვიდრი, წარსულში ცნობილი ფალავანი მიხეილ არჩვაძე). უშელავათო, პრინციპული ორთაბრძოლების შემდეგ ფინალში ერთმანეთის პირისპირ მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის გუნდები დადგნენ. მათი შეხვედრების საერთო შედეგი საყაიმო იყო და პირველობის ბედი მძიმე წონის მოჭიდავეებს უნდა გადაეწყვიტათ. კახელებს გუნდში მძიმეწონოსანი არ ჰყავდათ და ეს პატივი შედარებით მსუბუქ წონოსან საგარეჯოელ ალექსაშვილს ხვდა წილად. როგორც მოსალოდნელი იყო, მან ვერაფერი მოუხერხა თავისზე გაცილებით მძიმე მეტოქეს და ქულებით დამარცხდა. ამან განსაზღვრა კიდეც მცხეთა-მთიანეთის გუნდის პირველი ადგილის ბედი. კახეთის გუნდი მეორე ადგილზე გამოვიდა. მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ქვემო ქართლის გუნდმა.

ასპარეზობის შემდეგ ქართული სპორტის თავკაცებმა, ვეტერანმა ფალავნებმა გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს გადასცეს მედლები და ფასიანი საჩუქრები. ფულადი ჯილდოები მიიღეს მათმა მწვრთნელებმაც.

ფედერაციის ხელმძღვანელებმა და სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

ზურა აბულაშვილი

## ბიჭებმა დიდ კრივში შეაბიჯეს...

**„ლელოს" წინა ნომერში ვწერდით ჭიათურაში გამართულ მოკრივეთა ტურნირის შესახებ. დედაქალაქიდან ასპარეზობაში მხოლოდ სამი მოკრივე ჩავიდა და სამივემ გამარჯვებულმა დატოვა რინგი. ერთი მათგანია ნიჭიერი ახალგაზრდა დათო ავალიანი, რომლის მწვრთნელი გიორგი ჩიხლაძე რედაქციაში გვეწვია.**

● ***ბატონო გიორგი, რას გვეტყოდით თქვენი შეგირდის შესახებ?***

— დათო დაბადებულია სოხუმში. იგი ახლა მეთვრამეტე წელშია. ათლეტურია: წონა 75 კგ, სიმაღლე — 190 სმ. სულ პატარა იყო ლტოლვილად რომ იქცა. მამა იმ ცნობილი მოვლენების დროს მოუკლეს სოხუმში. ჯერ სენაკს აფარებდა თავს ოჯახთან ერთად, შემდეგ თბილისში გადმოვიდა. ადრე უვლია კრივის სექციაში, წლეულს თებერვალში განაახლა ვარჯიში ჩემს ჯგუფში, სს „თბილავიამშენის" კრივის სკოლაში. არის თავდაცვის სამინისტროს აკადემიის წარჩინებული სტუდენტი.

● ***გამოდის, რომ ჭიათურის რინგზე მოპოვებული წარმატება პირველია მის სპორტულ ბიოგრაფიაში...***




— დიახ, ნამდვილად ასეა. მანამდე სამი შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა მოგებული.

● ***მიგაჩნიათ, რომ პერსპექტიული ახალგაზრდაა?***

— ამაში ეჭვიც არ მეპარება, ძალიან მოწესრიგებული, შრომისმოყვარე, ნებისყოფიანი სპორტსმენია. გადატანილი ტრაგედიის გამო, სიგარეტსაც მიძალებია და სასმელსაც. მერე ორივეს მიანება თავი, რასაც სპორტთან დამეგობრებას უმადლის.

● ***ჭიათურაში პირველობა კი მოიპოვა, მაგრამ გაიჩნია, ვის შეხვდა ფინალში...***

— საქმე იმაშია, რომ ფინალში ღირსეულთან მოუხდა შერკინება. ჯერ ნახევარფინალზე ვთქვათ. აქ მისი მეტოქე იყო დ. კვაჭაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ფინალისტი ვ. ჯიქია, რომელსაც დამაჯერებლად აჯობა. ფინალში კი საქართველოს ჩემპიონ ი. გულორდავას შეხვდა. პირველი რაუნდი წავაგეთ, მეორემ თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, მესამე-მეოთხე რაუნდში კი დათო რინგის ბატონ-პატრონი გახდა და მეხუთე მოგება იზეიმა.

● ***ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი თქვენმა შეგირდმა და საერთაშორისო არენაზეც გავა?***

— რა თქმა უნდა, ნაკრებში მოხვდა. წინ ევროპის პირველობაა, ფაქტობრივად, ეს ამ პირველობის შესარჩევი ტურნირი იყო და თუ გასამგზავრებელი თანხები გამოინახა, ეს ბიჭი თავს არ შეირცხვენს.

**ახლა თავად დათო ავალიანს მოვუსმინოთ:** „ბედნიერი ვარ, რომ სწავლასა და სპორტში მეცადინეობაში მხარში მიდგანან კეთილი ადამიანები — ჩვენი აკადემიის რექტორი, გენერალ-ლეიტენანტი, ბატონი ომარ ლეკვეიშვილი, პრორექტორი — გენერალ-მაიორი, ბატონი გია თორაძე, ფიზაღზრდის კათედრის გამგე, ვიცე — პოლკოვნიკი, ბატონი ავთანდილ ჩიხლაძე, ჩემი მეგობარი ზაზა დაბრუნდაშვილი. „თბილავიამშენის" ხელმძღვანელობა, ეროვნული და თბილისის კრივის ფედერაციების ხელმძღვანელები.

მადლობელი ვარ, რომ ბედმა შემახვედრა გიორგი მასწავლებელს. არა მგონია, სხვის ხელში ასე მალე მივაღწევდი რაიმე წარმატებას. ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი, რასაც უთუოდ შევძლებ გიორგი მასწავლებლის ხელმძღვანელობით".

*გიორგი თორაძე:* „დათო ავალიანი 16 წლის ჩაირიცხა ჩვენს აკადემიაში. ის სანიმუშო სტუდენტია, სწავლაში დაუზარელი. ასეთი ახალგაზრდები სპორტშიაც უთუოდ მიაღწევენ თვალსაჩინო სიმაღლეებს. დათოს აღმასვლა კი დიდ სპორტში უკვე დაიწყო. ახალ წარმატებებს ვუსურვებ!"

ც. ბაქრაძე



ნ. კოპალაძეს მთავარ პრიზს გადასცემს ჭიათურის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ლ. გაფრინდაშვილი

***PS. ორიოდე სიტყვა ჭიათურაში გამართული ასპარეზობის შინაარსის შესახებ. ეს იყო ტრაგიკულად დაღუპული მოკრივის თენგიზ ჯაოშვილის ხსოვნის ტურნირი. თენგიზ ჯაოშვილი იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, უკრაინის თასის მფლობელი, ტაშკენტის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, ევროპის პირველობის პრიზიორი, მსოფლიოს პირველობის მეოთხედფინალისტი. თენგიზ ჯაოშვილის ხსოვნის პრიზი გადაეცა 71 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე ჭიათურელ ნ. კაპანაძეს.***

***ჭიათურამ, ქალაქის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, სამაგალითოდ უმასპინძლა ტურნირს.***

# „ბორჯღალოსნები" მსოფლიო თასის გათამაშებისათვის ემზადებიან

## საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიოს თასის 2003 წლის გათამაშებისათვის მზადება ორიოდე დღის წინ ბათუმში დაიწყო



მსოფლიო თასის შესარჩევ ეტაპს „ბორჯღალოსნები" 28 სექტემბერს დუბლინში, ირლანდიელებთან მატჩით იწყებენ, ხოლო 5 ოქტომბერს თბილისში უმასპინძლებენ რუსეთის ნაკრებს. ამ უკანასკნელთან გამარჯვების შემთხვევაში (ჯგუფის ფავორიტად ირლანდიის ნაკრებია აღიარებული). „ბორჯღალოსნები" პირდაპირ მოხვდებიან მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე.

ცნობილია, რომ წელსვე დაიწყება კიდევ ერთი ტურნირი — „ერთა თასის" მორიგი გათამაშება.

ბუქარესტში გაიმართა შეჯიბრებაში მონაწილე ქვეყნების რაგბის ფედერაციის წარმომადგენელთა სხდომა, სადაც განიხილეს შეჯიბრებასთან დაკავშირებული საკითხები. წელსაც ექვსი გუნდი იასპარეზებს. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აუტსაიდერ ჰოლანდიის ნაკრების ადგილი ჩეხეთის ნაკრებმა დაიკავა.

გადავა თუ არა „ერთა თასის" გამარჯვებული ექვსი ერის პირველობაში. ეს უკვე რაგბის საერთაშორისო კავშირის გადასაწყვეტია.

„ერთა თასის" გათამაშებას „ბორჯღალოსნები" 15 თებერვალს პორტუგალიელებთან მატჩით დაიწყებენ. გთავაზობთ ბუქარესტში დადგენილ კალენდარს.

***პირველი ტური. 15 თებერვალი:*** პორტუგალია — საქართველო, ესპანეთი — რუსეთი, ჩეხეთი — რუმინეთი;

***მეორე ტური. 22 თებერვალი.*** საქართველო — ესპანეთი, რუმინეთი — პორტუგალია, ჩეხეთი — რუსეთი;

***მესამე ტური. 8 მარტი.*** რუსეთი — საქართველო, ესპანეთი — რუმინეთი, პორტუგალია — ჩეხეთი;

***მეოთხე ტური. 22 მარტი.*** ჩეხეთი — საქართველო, რუმინეთი — რუსეთი, პორტუგალია — ესპანეთი;

***მეხუთე ტური. 29 მარტი.*** საქართველო — რუმინეთი. რუსეთი — პორტუგალია, ესპანეთი — ჩეხეთი და ბოლოს, რაგბის საერთაშორისო კავშირმა გამოაქვეყნა მორიგი რეიტინგი ივნისის შედეგების მიხედვით ნაკრები გუნდებისათვის. წინა რეიტინგში საფრანგეთს პირველი ადგილი ეკავა, თუმცა ივნისში წარუმატებლად ასპარეზობის შედეგად მე-6 საფეხურზე გადაინაცვლა. ლიდერის პოზიცია კი ინგლისმა აიღო ხელთ.

საქართველომ ერთი საფეხურით წინ წაიწია.

გთავაზობთ საუკეთესო ოცეულს:

1. ინგლისი, 2. ავსტრალია, 3. ახალი ზელანდია, 4. სამხრეთ აფრიკა, 5. არგენტინა, 6. საფრანგეთი, 7. ირანდია, 8. ფიჯი, 9. კანადა, 10. შოტლანდია, 11. უელსი, 12. სამოა, 13. იტალია, 14. ტონგა, 15. აშშ, 16, იაპონია, 17. რუმინეთი, **18. საქართველო,** 19. რუსეთი, 20. სამხრეთ კორეა.

საწვრთნელ შეკრებაზე კლოდ სორელმა შემდეგ მორაგბეებს უხმო: ლევან ცაბაძე (მონფერანი), ტარიელ რატიანიძე (ბეზიე), გოდერძი შველიძე (ბეზიე), მევლუდ მთიულიშვილი (ბეზიე), სოსო ნიკოლაენკო (რუმი), ლევან ჯაველიძე (ნანტი), აქვსენტი გიორგაძე (ტულონი). ვიქტორ დიდებულიძე (ჟაკი), ვანო ნადირაძე (ბეზიე), სერგო გუჯარაიძე (კრეზო), ზვიად მათიაშვილი (ნანტი), ბესიკ უდესიანი (კრეზო), დავით ბოლღაშვილი (უგუნდოდ), გიორგი ჩხაიძე (სენ ნაზერი), ილია ზედგინიძე (ტულონი), ირაკლი აბუსერიძე (ორიკი), გუჯა იოვაძე (აგდი), ბობა კვინიხიძე (კასტრი), თედო ზიბზიბაძე (ტური), ვასილ კაცაძე (გრენობლი), გია ლაბაძე (ტულონი), ბადრი ხეხელაშვილი (ანგულები), მალხაზ ურჯუკაშვილი (ტური), ბესიკ ხამაშურიძე (ტულონი), ნიკოლოზ იურინი (ანდორა), ირაკლი გუნდიშვილი (უნივერსიტეტი), ოთარ ბარკალაია (ორბელი — ლელო), კახა ალანია (ლოკომოტივი), ვასილ აბაშიძე (ლოკომოტივი), მამუკა გორგოძე (ორბელი-ლელო), გიორგი ტრაპაიძე (ყოჩები), გიორგი ელიზბარაშვილი (აკადემია), გიორგი გეგიძე (აკადემია).

როგორც ხედავთ, გუნდში რამდენიმე ახალწვეულია, გარდა ამისა, დიდი ხნის შესვენების შემდეგ კლოდ სორელმა საქართველოს ნაკრებში დააბრუნა გამოცდილი ნიკოლოზ იურინი. ბათუმში ვარჯიშობს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც.

აჭარის დედაქალაქში „ბორჯღალოსნები" კიდევ ერთი კვირის განმავლობაში დარჩებიან.

შეგახსენებთ. რომ მსოფლიოს თასის 2003 წლის გათამაშების შესარჩევ ეტაპამდე, ქართველ მორაგბეებს დაგეგმილი აქვთ ტესტ მატჩები ფრანგულ კლუბებთან და იტალიის ნაკრებთან.

**თენგიზ ჩობანიძე**

# ბავშვთა ფეხბურთი

## ბავშვთა ლიგა „დინამომ" მოიგო

1985 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ლიგის პირველობას მეორე წელია ატარებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ზედიზედ მეორედ ორ წრიან ტურნირს დიდი უპირატესობით იგებენ საფეხბურთო სკოლის „ნორჩი დინამოელის" ფეხბურთელები. წლეულს, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის რევაზ გაგუას შეგირდებმა შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე მოიპოვეს ჩემპიონობა. „ნორჩმა დინამოელმა" ჩინებული მაჩვენებლებით დაასრულა ტურნირი, 26 მატჩიდან 21 მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და მხოლოდ ოთხჯერ დამარცხდა. ბურთების შეფარდებაც შესაფერისი აქვთ დინამოელებს. მათ 73 გოლი გაუტანეს მეტოქეებს და მხოლოდ 15 გაუშვეს.

ბავშვთა ლიგის საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო თბ | 26 | 21 | 1 | 4 | 73:15 | 64 |
| იმერეთი ქუთ. | 26 | 19 | 3 | 4 | 50-29 | 60 |
| ყაზბეგი თბ | 26 | 16 | 6 | 4 | 62-22 | 54 |
| განათლება ქუთ. | 26 | 12 | 7 | 7 | 37-30 | 43 |
| სიონი ბოლ. | 26 | 12 | 5 | 9 | 59-41 | 41 |
| გურია ლანჩ. | 26 | 12 | 5 | 9 | 47-47 | 41 |
| მთ. გლობუსი | 26 | 12 | 3 | 11 | 46-35 | 39 |
| შევარდენი-1906 | 26 | 11 | 6 | 9 | 46-23 | 39 |
| დინამო ბთ | 26 | 10 | 7 | 9 | 37-32 | 37 |
| დინამო ზუგ. | 26 | 9 | 3 | 14 | 35-58 | 30 |
| თბილისი | 26 | 8 | 2 | 16 | 42-74 | 26 |
| ეგრისი სენ. | 26 | 5 | 3 | 18 | 25-58 | 18 |
| კახეთი თელ. | 26 | 3 | 6 | 17 | 17-50 | 15 |
| ორბი გორი | 26 | 2 | 1 | 23 | 27-89 | 7 |



*რეზო გაგუას „ნორჩი დინამოელი"* *ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა*

## „შევარდენმა" ისევ შეინავარდა

1992-93 წლიანთა შორის საფეხბურთო სკოლა „ავაზას" ღია პირველობაში 10 გუნდი იბრძოდა წარმატებისთვის. წრიული სისტემით გამოვლენილი 4 საუკეთესო გუნდიდან ნახევარფინალში „ავაზა" შეხვდა „აკადემიას". ძირითადი დრო დამთავრდა 2-2. პენალტებით (4-3) გაიმარჯვა „აკადემიამ". „შევარდენმა" მოუგო „ოლიმპიკს" ასევე პენალტებით — 4-2 (2-2). ფინალში „შევარდენმა" (მთავარი მწვრთნელი ბადრი მანწკავა) ადვილად სძლია აკადემიის გუნდს 4-1 და მთავარ პრიზს დაეუფლა. მესამე ადგილზე გავიდა „ავაზა".

*სურათზე: მარცხნიდან — I რიგში: ი. ხასაია, რ. იაშალაშვილი, გ. ვაშაკიძე, ლ. ბაკურაძე, გ. ჯოხაძე, გ. მეტრეველი; II რიგში: ლ. აბრამიშვილი, ბ. კაპანაძე, ი. გეგეჭკორი, ი. ტულუში, პ. ხერუმოვი, ბ. ქართველიშვილი, გ. მანჯგალაძე, თ. თაბუნიძე; მთავარი მწვრთნელი ბადრი მანწკავა.*



*ფოტო რობერტ ბაგოიანისა*

*„შევარდენი"*

# სამეგრელოს რეგიონში...

## თასების გათამაშება დასრულდა



სამეგრელოს რეგიონალურმა ფეხბურთის ფედერაციამ (პრეზიდენტი გელა ინალიშვილი) ჩაატარა ჭაბუკთა შორის მ. მესხის, ს. მეტრეველის, ვ. დარასელიას სახელობის თასების საქართველოს (სამეგრელოს რეგიონის) 2001-1002 წლების გათამაშები. თითოეულში მონაწილეობდა ათ-ათი გუნდი. მ. მესხის სახელობის თასის გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავა „ზუგდიდი 2001"-მა (მწვრთნელი გერონტი ნაჭყებია). მეორე იყო ხობის გუნდი (მწვრთნელები ლევან ნოდია, რევაზ ქაშიბაძე).

ს. მეტრეველის სახელობის თასის გათამაშებაში პირველობა მოიპოვა ფოთის „კოლხეთმა" (ზვიად ნოდია, გურამ იმნაძე), მეორე ადგილზეა „ზუგდიდი 2001" (გიორგი კალანდია).

ვ. დარასელიას სახელობის თასზე ადგილები ასე განაწილდა: 1. ზუგდიდის „ოდიში" (ოთარ ძალამიძე, ოთარ თუთბერიძე), 2. ფოთის „კოლხეთი" (ზვიად ნოდია, გურამ იმნაძე). ყველა დასახელებულმა გუნდებმა მოიპოვეს ფინალურ ეტაპზე გამოსვლის უფლება.

აღსანიშნავია, რომ „ოდიში 2001" და ხობის გუნდები ჭაბუკთა ლიგის 2002-2003 წლების გათამაშებაშიც იასპარეზებენ. „ოდიში 2001" (მ. მესხის თასი), და „ოდიში" (ვ. დარასელიას თასი), თუმცა გათამაშებებს ნახევარფინალიდან გამოეთიშნენ, სპეციალისტები თვლიან, რომ ბავშვთა ფეხბურთი რეგიონში წარმატებით ვითარდება.

საბოლოო ცხრილები

### მ. მესხის თასი

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ოდიში 2001 (ზუგ) | 10 | 2 | 2 | 50-11 | 32 |
| ხობი | 10 | 1 | 3 | 43-16 | 31 |
| კოლხეთი (ფოთი) | 10 | 1 | 3 | 37-10 | 31 |
| კოლხეთი2 (ფოთი) | 9 | 1 | 4 | 26-11 | 28 |
| ოდიში (ზუგდიდი) | 7 | 1 | 6 | 31-17 | 22 |
| სენაკი | 5 | 0 | 9 | 20-32 | 15 |
| სენაკი2 | 1 | 0 | 13 | 6-59 | 3 |
| განათლება მარტვილი | 1 | 0 | 13 | 9-66 | 3 |

*შენიშვნა: ორ-ორ კალენდარულ თამაშზე გამოუცხადებლობისთვის გათამაშებიდან მოიხსნენ აბაშის განათლების და ჩხოროწყუს „სამეგრელოს" გუნდები.*

### ს. მეტრეველის თასი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი (ფოთი) | 14 | 1 | 1 | 47-19 | 43 |
| ოდიში 2001 (ზუგ) | 13 | 2 | 1 | 50-11 | 41 |
| ხობი | 8 | 3 | 5 | 33-23 | 27 |
| ოლიმპია (ზუგდიდი) | 7 | 6 | 3 | 36-19 | 27 |
| განათლება(წალენჯ.) | 6 | 4 | 6 | 39-36 | 22 |
| ჯვარი | 5 | 4 | 7 | 31-23 | 19 |
| კოლხეთი2 (ფოთი) | 4 | 2 | 10 | 16-29 | 14 |
| ფაზისი (ფოთი) | 4 | 2 | 10 | 19-39 | 14 |
| განათლება (მარტვ.) | 0 | 0 | 16 | 5-76 | 0 |

*შენიშვნა: გათამაშებიდან მოიხსნა ჩხოროწყუს რ-ნის ლესიჭინის იმედის გუნდი.*

### ვ. დარასელიას თასის გათამაშება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოდიში (ზუგდიდი) | 14 | 2 | 0 | 54-5 | 44 |
| კოლხეთი (ფოთი) | 14 | 1 | 1 | 52-11 | 43 |
| სენაკი | 10 | 2 | 4 | 42-13 | 32 |
| ოდიში 2001 (ზუგდ.) | 9 | 2 | 5 | 36-24 | 29 |
| განათლება (ხობი) | 7 | 4 | 5 | 22-28 | 25 |
| განათლება (სენაკი) | 3 | 2 | 11 | 12-39 | 11 |
| მაგუ (ზუგდიდი) | 2 | 3 | 11 | 15-39 | 9 |
| დინამო (ზუგდიდი) | 2 | 2 | 12 | 9-44 | 8 |
| სპორტსკოლა (ზუგდ.) | 2 | 0 | 14 | 17-63 | 6 |

*შენიშვნა: ორ კალენდარულ თამაშზე გამოუცხადებლობისათვის გათამაშებიდან მოიხსნა აბაშის განათლების გუნდი.*

სამეგრელოს რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის სამახსოვრო თასებით დაჯილდოვდნენ მ. მესხის, ს. მეტრეველის, ვ. დარასელიას თასების გათამაშებებში პირველ, მეორე ადგილებზე გასული გუნდები. გუნდები, მწვრთნელები და მოთამაშეები — სრფფ-ს დიპლომებით და სიგელებით.

**ბელა ნაჭყებია,**
„ლელოს" კორესპონდენტი სამეგრელოს რეგიონში



# სფფ თავის პოზიციას აფიქსირებს და სიმართლეში დარწმუნებულია

წინასაყრილობო პერიპეტიები მძაფრსიუჟეტიანი ფილმის სცენარს ემსგავსება. სფფ-ს პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა დავით პეტრიაშვილმა სამიოდე დღის წინ, სფფ-ს დღევანდელ ხელმძღვანელებს პროცესუალური დარღვევებისათვის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში უჩივლა. თუმცა თავისი სათქმელი და სიმართლე სფფ-საც აქვს და დასტურად უეფას მაღალჩინოსანი პირის ერიხ ეპლეს აქვე მოყვანილ წერილს იშველიებს, რომლის თანახმადაც უეფა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კმაყოფილია სფფ-სთან თანამშრომლობით და ქართული ფეხბურთის მესვეურთ მუშაობას უწონებს.

გუშინ გამართულ მცირე პრესკონფერენციაზე სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ყველამ ფიფას წესდების შესაბამისად უნდა იმოქმედოს, სადაც მითითებულია, რომ სფფ-სთან წარმოშობილი დავა უცხო ორგანომ არ უნდა გაარჩიოს, არამედ ყველა საკითხი საფეხბურთო სამყაროსა და მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შექმნილი არბიტრაჟის გასარჩევია. ვალერი ჩოლარია სასამართლოს გადაწყვეტილებას დაელოდება და იმედოვნებს, რომ სწორედ სასამართლო გამოიტანს ჭეშმარიტად სამართლიან გადაწყვეტილებას.

ჩოლარიამ გვაცნობა, რომ 7-11 აგვისტოს ბაქოში საერთაშორისო ტურნირზეა მიწვეული 19 წლამდელთა ნაკრები. ჩვენი ჭაბუკების მეტოქეები აზერბაიჯანელები და ირანელები იქნებიან. საბოლოოდ, გადაწყდა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მოსამზადებლად გერმანიაში, რუიტში გამგზავრების საკითხი. 60 კაციანი ქართული დელეგაცია რუიტის საწვრთნელ ბაზაზე 31 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე დაბინავდება.

## გაიოზ დარსაძე მწვრთნელებს ცოდნას უმოწმებს

ორიოდე დღის წინ სფფ-ს მწვრთნელთა განთლების დირექტორმა გაიოზ დარსაძემ ბავშვთა ფეხბურთში მოღვაწე და B ლიცენზიის მსურველ მწვრთნელებს პირველი გამოცდა ჩაუტარა. 18 კითხვაზე, რომელიც ფიზიოლოგიის, პირველადი დახმარების, მსაჯობასა და თამაშის წესებს მოიცავდა, 3-28 ივნისის სემინარების 18 მსმენელს წერილობითი პასუხი უნდა გაეცა. წერითი გამოცდა სამბალიანი სისტემით შეფასდება. გუშინ მოეწყო გამოცდები თეორიაში საფეხბურთო საკითხებზე. მესამე და დამამთავრებელი გამოცდა, რომელიც პრაქტიკულ-საჩვენებელი ხასიათისაა, ხვალიდან დაიწყება და კიდევ ორი დღე გასტანს. გამოცდების დასრულებისთანავე სამივე გამოცდის შედეგები 10-ბალიანი სისტემით შეფასდება და წარჩინებულნი B კატეგორიის მწვრთნელის ლიცენზიებს მიიღებენ.



სპირინი (მარცხნიდან მეორე) პროგრეს-კურსების მსმენელებს სერთიფიკატებს გადასცემს. ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

## ფაქსი უეფადან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,
ყველა დაინტერესებულ პირს

**პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!**

1992 წელს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უეფას წევრად მიღების დღიდან, ჩვენს ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა მკვეთრად გაუმჯობესდა. უეფას პროგრამა „EEAB“-ის შექმნის შემდეგ მე უკეთ გავიცანი და შევაფასე ქართული ფეხბურთი, ქვეყანა და ფედერაციის მენეჯმენტი.

ბოლო წლებში ჩვენი თანამშრომლობა უფრო გამყარდა და საკმაოდ წარმატებულიც იყო. კომპანია „ერნსტ ენდ იანგის“ რევიზიამ დაადასტურა, რომ სფფ განვითარების სწორ გზას ადგას.

მე მაღალ შეფასებას ვაძლევ ფედერაციის მენეჯმენტს ორგანიზაციისა და ინფრასტრუქტურის მხრივ და იმედი მაქვს ეს პროგრესი მომავალშიც გაგრძელდება.

გისურვებთ კონგრესის წარმატებულ და ნაყოფიერად ჩატარებას.

**გულწრფელად, თქვენი**

ერიხ ეპლე,
უეფას დახმარების
პროგრამის უფროსი მენეჯერი

# სპირინმა მსაჯობა მოგვიწონა, უცხო ენის უცოდინარობა დაგვიწუნა

ინტენსიურად და ნაყოფიერად იმუშავეს ჩვენმა მსაჯებმა და პროგრეს-კურსების წამყვანმა, ყოფილმა მსაჯმა რუსეთიდან, უეფას მსაჯთა კომიტეტის წევრმა ალექსეი სპირინმა. „ლოკომოტივის“ სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში თეორიულ მეცადინეობას პრაქტიკული სწავლება ენაცვლებოდა. გაირჩა სტუმრის მიერ უხვად ჩამოტანილი ვიდეომასალა. მერე კი სპირინმა რამდენიმე წუთით ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა.

– „პროგრეს-კურსები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მსაჯებისთვის ტარდება. მიზანი ისაა, რომ უეფამ კარგად გაიგოს ამ ქვეყნებში არსებული პრობლემები. წარმოაჩინოს ისინი, ვინც საერთაშორისო მატჩების მომსახურებას შეძლებს, გამონახოს რეზერვები სამსაჯო საქმის განვითარებისთვის, გვიწევს ყოველდღიური სწავლება, რათა არ ჩამოვრჩეთ ფეხბურთის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს. მსაჯს მატჩის გაძღოლა გავუადვილოთ და არც ფეხბურთის სანახაობითი მხარე ვაზარალოთ“.

– „საქართველოსთან ბევრი დადებითი მოგონება მაკავშირებს. თბილისში პირველად 1977 წელს ჩამოვედი. საქართველოში, თითქმის ყველგან ვარ ნამყოფი. ქართული გუნდების თამაშები საკმაოდ ვიმსაჯე. ანატოლი მილჩენკოს ვეხმარებოდი საერთაშორისო მატჩებში. ქართველ მსაჯებს შორის ბევრი მეგობარი მყავს.“

– „პროგრეს-კურსების მიმდინარეობას რაც შეეხება, მოხარული ვარ, მსაჯებიდან დაინტერესებას ვხედავ, ახალგაზრდობა სჭარბობს, გარეგნულადაც კარგად გამოიყურებიან ბიჭები, თუმცა ფიზიკური კონდიციები ზოგიერთს გასაუმჯობესებელი აქვს. პოტენცია უდავოდ დიდია. საერთაშორისო მატჩების მომსახურების კარგი უნარი გამოამჟღავნეს სერგო კვარაცხელიამ, მერაბ მალალურაძემ, ლევან ფანიაშვილმა, ლევან მიქელაძემ. ბევრის ცოდნა და გამოცდილება ტოპ კლასის მსაჯის დონეს უტოლდება, თუმცა საერთაშორისო არენაზე ქართველი მსაჯების უფრო დიდი მასშტაბით წარმოჩენას ხელს უშლის ინგლისური ენის არცოდნა, რაც აუცილებელი პირობაა დღეს, რათა მსაჯმა საკმაო რაოდენობის საერთაშორისო მატჩების მომსახურების უფლება მიიღოს. თუ ფეხბურთელებთან კონტაქტის უნარი არ გაქვს, ვერ იმსაჯებ. ეს ნაკლი გამოსწორებადია და მერე უეფასაც გაუდვილდება ქართველი მსაჯების მაღალი რანგის მატჩებზე მოწვევა“.

სტუმრის სიტყვების დასტური თურქეთიდან მოსული ფაქსი იყო, ქართველ მსაჯებს (ასისტენტებს) 29 ივლისიდან 1 აგვისტომდე გასამართ სემინარზე უხმეს. ანალოგიური უფრო დიდი მასშტაბის სემინარი გაიმართება შვეიცარიაში, ნიონში 1-3 სექტემბერს. არბიტრთა ეს თავყრილობაც ქართველი მსაჯების გარეშე არ ჩაივლის.

## გიორგი დემეტრაძე „ალანიაში“ ბრუნდება



რუსეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში „ტორპედო-ზილთან“ ვლადიკავკაზის „ალანიის“ შემადგენლობაში, მიხეილ აშვეთიასთან ერთად გიორგი დემეტრაძეც ითამაშებს. დემეტრაძე, რომელიც „რეალ სოსიედადს“ ეკუთვნის, გაზაფხულზე მოსკოვის „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში გამოჩნდა, ხოლო ვლადიკავკაზური კლუბისა და „რეალ სოსიედადის“ მოლაპარაკების შემდეგ, ის წლის ბოლომდე „ალანიის“ ღირსებას დაიცავს. ვლადიკავკაზელ ფეხბურთელთა მწვრთნელს ბახვა თედეევს სჯერა, რომ დემეტრაძე მათ კრიზისის დაძლევაში დაეხმარება.

## ხსოვნის ტურნირი ხობში

19-23 ივნისს ხობში ჩატარდა ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ შენგელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მეათე ტრადიციული ტურნირი მინი-ფეხბურთში. მონაწილეობდა ხობის „ოლიმპიას“ (მწვრთნელი კალისტრატე ხურცილავა), ზუგდიდის „ოდიშის“ (ოთარ გვიჩიანი), ფოთის „კოლხეთის“ (ნუგზარ ლემონჯავა) და სენაკის „განათლების“ (რეზო ხუნწარია) 2-2 გუნდი. პირველი ადგილი დაიკავა „ოდიშმა“. მეორე იყო „ოლიმპია“, მესამე-მეოთხე — ფოთისა და სენაკის გუნდები. „ოდიშს“ გადაეცა ნოდარ შენგელიას თასი, ტურნირში მონაწილე გუნდები, მწვრთნელები და მოთამაშეები დაჯილდოვდნენ სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

ინდივიდუალური პრიზები გადაეცათ: საუკეთესო მეკარის — გოგიტა სოხაძეს (სენაკი), მცველის — აკაკი ხომერიკს, ნახევარმცველისა — გიორგი ლემონჯავას (ორივე — კოლხეთი), თავდამსხმელისა — ნიკა გვასალიას, ტექნიკური მოთამაშისა — ზვიად ხურციას (ორივე — ოლიმპია), საუკეთესო მოთამაშისა — ნიკა ძალამიძეს (ოდიში), ბომბარდირისა — ირაკლი ბერულავას (სენაკი), ყველაზე უმცროსი მონაწილისა — მურთაზ ჩანგელიას (ოდიში).

სამეგრელოს რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაწესებული პერსპექტიული მოთამაშის პრიზი მიიღეს გელა ხოხობაიამ (კოლხეთი) და ირაკლი ელიავამ (ოდიში).

ტურნირის ყველა ხარჯები გაიღო ტრაგიკულად დაღუპულის ოჯახმა.

გელა ნაჭყებია,
„ლელოს“ კორესპონდენტი
სამეგრელოს რეგიონში.

## ინტერტოტოს თასი

UEFA INTERTOTO CUP

მეორე ეტაპის პირველი მატჩები

*6-7 ივლისი*

„კრილია სოვეტოვი“ (რუსეთი) – „დინაბურგი“ (ლატვია)
„სლავენი“ (ხორვატია) – „ბელენენსეში“ (პორტუგალია)
„კოლრეინი“ (ჩრდ. ირლანდია) – „ტრუა“ (საფრანგეთი)
„მიუნხენ 1860“ (გერმანია) – „ბატე“ (ბელარუსი)
„ვილიარეალი“ (ესპანეთი) – „ჰაფნარფიორდური“ (ისლანდია)
„ფულჰემი“ (ინგლისი) – ჰაკა (ფინეთი)
„სოშო“ (საფრანგეთი) – „ჟალგირისი“ (ლიტვა)
„გენტი“ (ბელგია) – „სტ. პატრიკი“ (ირლანდია)
„შტუტგარტი“ (გერმანია) – „ლოკერენი“ (ბელგია)
„ტორინო“ (იტალია) – „ბრეგენცი“ (ავსტრია)
„ტეპლიცე“ (ჩეხეთი) – „სანტა კლარა“ (პორტუგალია)
„ვილემ II“ (ჰოლანდია) – „სტ. გალენი“ (შვეიცარია)
„ციურიხი“ (შვეიცარია) – „ლევადია“ (ესტონეთი)
„სინოტი“ (ჩეხეთი) – „ჰელსინგბორგი“ (შვედეთი)
„გლორია“ (რუმინეთი) – „ტეუტა“ (ალბანეთი)
„აშდოდი“ (ისრაელი) – „მარეკი“ (ბულგარეთი)

*განმეორებითი მატჩები შედგება 13-14 ივლისს.*




## საქართველო 55-ეა

ფიფამ გამოაქვეყნა მორიგი რეიტინგი ფეხბურთელთა ნაკრები გუნდებისათვის.

პირველი ათეული ასე გამოიყურება:

1. ბრაზილია — 852
2. არგენტინა — 784
3. საფრანგეთი — 784
4. ესპანეთი — 774
5. გერმანია — 765
6. მექსიკა — 739
7. პორტუგალია — 731
8. ინგლისი — 728
9. კოლუმბია — 725
10. იტალია — 720

რაც შეეხება საქართველოს, 541 ქულით 55-ე ადგილი უჭირავს.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ყველას მაინც გიუნეშმა აჯობა

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ უეფას მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ევროპის საუკეთესო მწვრთნელად თურქეთის ფეხბურთელთა ნაკრების თავკაცი შენოლ გიუნეში დაასახელეს. მეორე ადგილზე გავიდა სამხრეთ კორეელთა მთავარი მწვრთნელი გუუს ჰიდინკი, მესამეზე — რუუდი ფიოლერი (გერმანია).

### ვან ბასტენს, გულიტსა და რაიკარდს თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ?

იტალიური „მილანის“ ყოფილ მოთამაშეებს მარკო ვან ბასტენს, რუუდ გულიტსა და ფრანკ რაიკარდს გადასახადების გადაუხდელობის გამო ბრალდება წაუყენეს. სასამართლომ გაამართლა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი და მფლობელი სილვიო ბერლუსკონი, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ არ იცოდნენ ჰოლანდიელთა მხრიდან გადასახადების გადაუხდელობის შესახებ. ფეხბურთელთა ადვოკატის განცხადების თანახმად, სამივე ვარსკვლავს ელის ფულადი ჯარიმა ან ციხე სამი წლით.

## ჩემპიონატის ექო



რონალდინიომ ინგლისელთა კარში ჩემპიონატის ულამაზესი გოლი გაიტანა

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

## ჩემპიონატის ექო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ედმილსონი კარგახანს წვალობდა ბედნიერების მომტანი მაისურის გადაცმას...

# საფეხბურთო ჰიტ-პარადი

**ყოველი მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ტრადიციულად ჟურნალისტები კიდევ ერთხელ გადაავლებენ ხოლმე თვალს განვლილ საფეხბურთო მოვლენას და აანალიზებენ მას. მაშ, კიდევ ერთხელ, — რით იყო აღსანიშნავი მსოფლიოს მეჩვიდმეტე ჩემპიონატი?**

### ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე – ოლივერ კანი (გერმანია)

ოფიციალური გამოკითხვა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის გამოსავლენად კვირას ჩატარდა, ყველა მოელოდა, რომ ამ ნომინაციის გამარჯვებული „ოქროს ბუცის" მფლობელი და ფინალური მატჩის გმირი რონალდო იქნებოდა. თუმცა, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საუკეთესო მოთამაშის პრიზი „ოქროს ბურთი" პირველად ისტორიაში გადაეცა გოლკიპერს — ოლივერ კანს, რომელმაც მართლაც ბრწყინვალე თამაშით დაამახსოვრა ყველას თავი. მან გამოკითხვაში 147 ხმა მიიღო, ხოლო რონალდომ — 126. საინტერესოა, რომ მესამე ადგილზე გავიდა სამხრეთკორეელი ხონ მიუნ ბო — 108 ხმა. აქვე გაგაცნობთ „ოქროს ბურთის" წინა მფლობელთა სიას: 1982 წ. — პაოლო როსი (იტალია), 1986 წ. — დიეგო მარადონა (არგენტინა), 1990 წ. — სალვატორე სკილაჩი (იტალია), 1994 წ. — რომარიო (ბრაზილია), 1998 წ. — რონალდო (ბრაზილია).

### ჩემპიონატის აღმოჩენა – მარკოსი (ბრაზილია)

ჯგუფურ ტურნირში მარკოსმა სამი გოლი გაუშვა, თუმცა, ბრწყინვალედ ითამაშა ფლეი-ოფში. ბევრჯერ შეძლო ბრაზილიის ნაკრების კარის გადარჩენა აშკარა გოლებისაგან. განსაკუთრებით ბელგიელებთან, ინგლისელებთან და გერმანელებთან შეხვედრებში. 28 წლის ასაკში „აღმოჩენის" ნომინაციაში გამარჯვება ბევრს შეიძლება სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მარკოსი „პალმეირასის" ღირსებას იცავს, რომლის თამაშების ხილვას ევროპული საზოგადოების მცირე ნაწილი თუ ახერხებს.

### საუკეთესო მწვრთნელი – გუუს ჰიდინკი (კორეა)



გუუს ჰიდინკი

ევროპაში კარგად ცნობილმა მწვრთნელმა ყველაფერი გააკეთა კორეაში, რათა ამ ქვეყნის ჩემპიონატის აუტსაიდერად შერაცხული გუნდი საუკეთესო ოთხეულში მოეხვედრებინა. მართალია, ოთხი წლის წინათ, საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე, ჰიდინკმა ჰოლანდიის ნაკრები ნახევარფინალამდე მიიყვანა, მაგრამ წლევანდელი წარმატება უფრო თვალსაჩინოა — კორეის ნაკრები ხომ ადრე მოგებასაც ვერ ახერხებდა, ჯგუფიდან გასვლაზე საუბარი კი ზედმეტი იყო, — წელს კი მეოთხე ადგილი დაიკავა.

### ულამაზესი გოლი – რონალდინიო (ბრაზილია)

რონალდინიოს მიერ ინგლისელთა კარში გატანილი გოლი მართლაც რომ ულამაზესი იყო. დარტყმაც კი ისე უნაკლოდ იყო შესრულებული, რომ სიმენმა ვერაფერი მოახერხა. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ეს გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა ბრაზილია — ინგლისის შეხვედრაში.

### მწვრთნელი – აღმოჩენა – შენოლ გიუნეში (თურქეთი)

თურქული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, 50 წლის შენოლ გიუნეში ამ ორი წლის წინათ დანიშნეს ქვეყნის ნაკრების მთავარ მწვრთნელად. მან მიაღწია იმას, რაზეც მისი წინამორბედები დენიზლი და თერიმი ვერც იოცნებებდნენ, — თურქეთის ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა, რაც თურქული ფეხბურთის ჯერ არნახული წარმატებაა.



გიუნეში

### ჩემპიონატის საუკეთესო მატჩი. კორეა – თურქეთი

ტრადიციულად, მესამე ადგილისათვის მატჩს დიდ ყურადღებას არ აქცევენ, თუმცა წლევანდელი ბრძოლა ბრინჯაოს მედლებისათვის მეტად საინტერესო და დაძაბული გამოდგა. კორეელებმაც და თურქებმაც ლამაზი ფეხბურთი ითამაშეს. ეს იყო შემტევი ფეხბურთი, — დაცვაზე არავინ ფიქრობდა. სწორედ აღნიშნულ შეხვედრაში თურქების მიერ მეთერთმეტე წამზე გატანილი გოლი უსწრაფესი აღმოჩნდა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ეტაპების ისტორიაში.

### იმედგამაცრუებელი გუნდი – არგენტინა

ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად თვლიდნენ არგენტინელებს. მათ ძლიერად ჩაატარეს შესარჩევი ეტაპის მატჩები, ბრწყინვალე თამაშის შემხედვარე სპეციალისტები თვლიდნენ, რომ ამ გუნდს გარანტირებული ჰქონდა ადგილი ფინალში, მაგრამ... არგენტინის ნაკრები ჯგუფიდანაც ვერ გავიდა.

### ჩემპიონატის „შეცდომა" – ოლივერ კანი (გერმანია)

ფინალური მატჩის 67-ე წუთზე გერმანიის ნაკრების გოლკიპერმა რივალდოს დარტყმის შემდეგ ბურთის დაჭერა ვერ მოახერხა, რის შედეგადაც რონალდომ გოლი გაიტანა. ეს შეცდომა კანმა სტადიონზევე გამოიგლოვა, რაც კარგად ნახა ტელემაყურებელმაც.

### ჩემპიონატის არტისტი – რივალდო (ბრაზილია)

რივალდო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა, თუმცა ბევრს ახსოვს (განსაკუთრებით თურქებს) მისი საქციელი ჩემპიონატის პირველ მატჩში, როცა ბურთი ფეხზე მოხვდა და ხელები (ვითომც ტკივილის გამო)... თავში წაიშინა. ამ სიმულაციას ემსხვერპლა... თურქი ფეხბურთელი — იგი მოედნიდან გააძევეს.

### ჩემპიონატის „ეგზოტიკა" – მსაჯები „მესამე ქვეყნებიდან"

ფიფას ხელმძღვანელობა, საფეხბურთო ჩემპიონატში მსოფლიოს უფრო მეტი ქვეყნის მსაჯთა მონაწილეობის ცდამ, აბსურდამდე მიიყვანა. მსოფლიო ჩემპიონატზე ვიხილეთ მსაჯი ბენინიდან (კოფი კოჯი, რომელსაც არ აქვს დიდი გამოცდილება), აგრეთვე დამხმარე მსაჯები ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა ვანუატუ, უგანდა ან ანტიგუა და ბარბუდა, სადაც ფეხბურთს ხეირიანად ვერ თამაშობენ... ფიფამ ეს შეცდომა აღიარა.

### ჩემპიონატის გაძევება – ტიერი ანრი (საფრანგეთი)

ურუგვაელებთან მატჩში მექსიკელმა მსაჯმა რამოს რისიმ წითელი ბარათი უჩვენა ფრანგ ტიერი ანრის. ბევრი თვლის, რომ იმ მომენტში უფრო მიზანშეწონილი ყვითელი ბარათის ამოღება იქნებოდა, მაგრამ მსაჯმა ეს ალბათ, ცხელ გულზე გააკეთა და ფაქტობრივად, ვადამდე „უზრუნველყო" მსოფლიო 1998 წლის ჩემპიონის — საფრანგეთის ნაკრების შინ გამგზავრება.

### „მამები" და „შვილები" – ჩა დუ რი და მალდინი

კორეის ნაკრების ფორვარდის ჩა დუ რი ვაჟიშვილია ცნობილი ფეხბურთელის ბუმ კუნ ჩასი, რომელიც 80-იან წლებში გერმანიაში ასპარეზობდა და კორეული ფეხბურთის ვარსკვლავად ითვლებოდა. ჩა დუ რიმ კი მამას იმით აჯობა, რომ გუნდთან ერთად მეოთხე ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონატზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთნაირ შედეგებს მიაღწიეს მამა-შვილმა მალდინებმა. პარაგვაის ნაკრების მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ და იტალიის ნაკრების მცველმა — პაოლო მალდინიმ. მათ ამ ჩემპიონატის მერვედფინალამდე ერთად მიაღწიეს.

### „ჩემპიონატის ჩავარდნა" – ხოსე ლუის ჩილავერტი (პარაგვაი)

ჩემპიონატის დაწყებამდე პარაგვაელთა გოლკიპერი ყველას არწმუნებდა, რომ ვარსკვლავი გახდებოდა და გოლსაც გაიტანდა, მაგრამ მან საზოგადოებას თავი მხოლოდ შეცდომებით დაამახსოვრა.

### ჩემპიონატის „გადადგომა" – ლუის ფელიპე სკოლარი (ბრაზილია)

ფინალურ მატჩში გამარჯვებისთანავე ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სკოლარიმ ოფიციალური განცხადება გააკეთა პოსტიდან გადადგო-



მის თაობაზე. ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის ხელმძღვანელობა ამაოდ ცდილობენ, სკოლარის შეაცვლევინონ გადაწყვეტილება..

### ჩემპიონატის კურიოზი – ედმილსონი (ბრაზილია)

ფინალური მატჩის მეორე ტაიმის დასაწყისში მსაჯმა კოლინამ ბრაზილიელ ედმილსონს მაისურის გამოცვლა მოსთხოვა. ვერ გეტყვით, დაღლილობისგან თუ ნერვიულობისგან, ედმილსონმა რამდენიმე წუთის განმავლობაში ვერაფრით მოახერხა ახალი მაისურის ჩაცმა. ამან მხიარულობა გამოიწვია, ყველა იცინოდა, — მსაჯიც და გერმანელებიც. ამ უკანასკნელთ გააზრებულიც არ ჰქონდათ, თუ რა ბედნიერების მომტან მაისურს იცმევდა ედმილსონი.

მოამზადა
თენგიზ ჩობანიძემ

---

## აზიური პრაქტიკა შესაძლოა აფრიკაში განმეორდეს

**მსოფლიო ჩემპიონატის ორ ქვეყანაში ჩატარების პრაქტიკა წარმატებით დასრულდა. უმნიშვნელოვანესი ღონისძიება მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და აშკარად გამოირჩეოდა წინა ჩემპიონატისაგან. ფიფას ხელმძღვანელობა აპირებს, 2010 წელს ასევე ორ ქვეყანაში ჩაატაროს მსოფლიო ჩემპიონატი აფრიკაში.**

**„2006 წელს მსოფლიო ჩემპიონატს გერმანია მასპინძლობს, 2010 წელს კი ეს ღონისძიება აფრიკაში ჩატარდება. არ არის გამორიცხული, რომ აზიური პრაქტიკა აფრიკაშიც გავიმეოროთ, მთავარია ერთიანი საორგანიზაციო კომიტეტი შეიქმნას. იაპონელებს და კორეელებს თავ-თავიანთი კომიტეტები ჰქონდათ, მომავალში კი ეს უნდა გამოვრიცხოთ", — განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა.**

**2010 წლის ჩემპიონატის ერთად მასპინძლობის სურვილი გამოთქვეს მაროკომ და ტუნისმა. ასევე ნიგერიამ და განამ.**

## გერმანელ ფეხბურთელებს შეხვდნენ ისე, როგორც გმირებს

10 ათასამდე გერმანელი გულშემატკივარი შეიკრიბა მაინის ფრანკფურტის აეროპორტში გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების დასახვედრად. ფეხბურთელები, როგორც გმირები, ისე მიიღეს. განსაკუთრებით ოვაციებით შეხვდნენ ოლივერ კანს და რუდი ფიოლერს.

კანმა გულშემატკივრებს შემდეგი სიტყვებით მიმართა. „მე არასოდეს



კანი

მითამაშია ისეთ ბრწყინვალე გუნდში, რომელიც მატჩიდან მატჩამდე უმატებდა თამაშს."

## ტრუსიე თვლის, რომ იაპონელებს უცხოელი მწვრთნელი უნდა ჰყავდეს

**იაპონიის ნაკრების აწ უკვე ყოფილმა მწვრთნელმა ფილიპ ტრუსიემ განაცხადა, რომ მისი მემკვიდრე აუცილებლად უცხოელი უნდა იყოს.**

**„პრობლემა ის არის, რომ ადგილობრივ სპეციალისტებს გამოცდილება არ აქვთ. ახალი მწვრთნელი ევროპელი უნდა იყოს", — თქვა ტრუსიემ. ბოლო ინფორმაციით ტრუსიე შეიძლება ბრაზილიელმა ზიკომ შეცვალოს.**

## სოუზა ფეხბურთიდან მიდის

ცნობილმა პორტუგალიელმა ფეხბურთელმა პაულო სოუზამ ოფიციალური განცხადება გააკეთა საფეხბურთო კარიერის დასრულების თაობაზე. 31 წლის ნახევარმცველის თქმით, ის დაიღალა ხშირი ტრავმებით. გარდა ამისა, ასეთი გადაწყვეტილების მიღება დააჩქარა იმანაც, რომ მან ვერ ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩარიცხული იყო გუნდში, მოედანზე ერთხელაც არ გამოსულა.

სოუზამ 51 მატჩი ჩაატარა პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობაში. მის კარიერაში უმთავრესი მიღწევა დორტმუნდის „ბორუსიასთან" და ტურინის „იუვენტუსთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებებია. ბოლო პერიოდში ის ესპანური „ესპანიოლის" ღირსებას იცავდა.

## მსოფლიო ჩემპიონებს ქვები დაუშინეს

**სამშობლოში დაბრუნებულ ბრაზილიელ ფეხბურთელებს ღია სატვირთო ავტომანქანით საპატიო წრე უნდა შემოევლოთ ბოტაფოგოში. საპატიო წრის ბოლომდე დასრულების ნაცვლად, ისინი აეროპორტისკენ გაემგზავრნენ, რამაც გულისწყრომა გამოიწვია ადგილობრივი გულშემატკივრებისგან, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონების გამოჩენას 11 საათის განმავლობაში ელოდნენ. როცა ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებით სავსე სატვირთო ავტომანქანა კოპაკაბანას სიახლოვეს გაჩერდა, გულშემატკივრებმა მანქანას ქვები დაუშინეს... მწვრთნელის სკოლარისა და გუნდის კაპიტნის კაფუს ახსნა-განმარტებამ, რომ გუნდი გადაღლილია, უშედეგოდ ჩაიარა.**



# კაპრიატი უიმბლდონის ტურნირს გამოეთიშა



უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირის მეოთხედფინალში ჯენიფერ კაპრიატიმ ვერაფერი მოუხერხა ამელი მორესმოს და ორ სეტში დამარცხდა – 3:6, 2:6. ასეთივე ანგარიშებით სერენა უილიამსა მოუგო დ. ჰანტუჩოვას.

ვაჟთა ტურნირში წარმატებით აგრძელებს ასპარეზობას ტიმ ჰენმანი, რომელმაც გუშინ მეოთხედფინალში დაამარცხა ანდრე სა – 6:3, 5:7, 6:4, 6:3..

ლეიტონ ჰიუიტმა ს. შალკენს სძლია – 6:2, 6:2, 6:7, 1:6, 7:5.

# კენჭი იყარა...

ბარსელონაში ჩატარდა საკალათბურთო ევროლიგის 2002-2003 წლების სეზონის კენჭისყრა. 24 გუნდი 3 ჯგუფში შემდეგნაირად გადაანაწილეს:

**„ა" ჯგუფი:** „ბენეტონი" (იტალია), „ბარსელონა" (ესპანეთი), „ეფესპილსენი" (თურქეთი), „აეკ" (საბერძნეთი), „ტიმსისტები" (იტალია), „პო-ორტეზი" (საფრანგეთი), „ციბონა" (ხორვატია), „ალბა" (გერმანია).

**„ბ" ჯგუფი:** „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი), „მაკაბი" (ისრაელი), „ტაუგრესი" (ესპანეთი), „ოლიმპია" (სლოვენია), „სიენა" (იტალია), „უნიკახა" (ესპანეთი), „ჟალგირისი" (ლიტვა), „ბუდუჩნოსტი" (იუგოსლავია).

**„გ" ჯგუფი:** „კინდერი" (იტალია), „ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი), „რეალი" (ესპანეთი), ცსკა (რუსეთი), „ულქერი" (თურქეთი), „ვილერბანი" (საფრანგეთი), „შლენსკი" (პოლონეთი), „ირაკლისი (საბერძნეთი).

დებულების თანახმად, პირველი ჯგუფური ტურნირი 9 ოქტომბრიდან მომავალი წლის 13 თებერვლამდე ჩატარდება. საუკეთესო 5-5 კლუბს დაემატება საუკეთესო მეექვსე ადგილოსანი. სწორედ ისინი იასპარეზებენ მეორე ჯგუფურ ტურნირში (შეიქმნება ოთხი ოთხგუნდიანი ჯგუფი). გამარჯვებული გუნდები 2003 წლის 9-11 მაისს ბარსელონაში „ოთხთა ფინალში" იასპარეზებენ.

# „პანათინაიკოსი" ევროლიგაში არ ითამაშებს! სკანდალი

**ბარსელონაში ჩატარებული ევროლიგის კენჭისყრიდან ორი საათის შემდეგ საბერძნეთისა და ევროლიგის ჩემპიონის, „პანათინაიკოსის" ხელმძღვანელობამ გააკეთა სენსაციური განცხადება იმის შესახებ, რომ ეს გუნდი აღარ იასპარეზებს ევროლიგაში და მონაწილეობას მიიღებს ახალ ტურნირში — ფიბა-ს ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. „პანათინაიკოსი" გაერთიანდება „ოქროს ჯგუფში" „ურალ-გრეიტთან", „კიოლნთან", „პარტიზანთან", ლიტუვოს „რიცასთან" და „სკავოლინისთან" ერთად.**

# საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემია
# აცხადებს
## კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად

*I. სამხედრო კათედრაზე:*
1. კათედრის უფროსის — 1 ერთეული;
2. კათედრის უფროსის მოადგილის სასწავლო დარგში — 1 ერთეული;
3. კათედრის უფროსი მასწავლებლის — 5 საშტატო ერთეული მოტომსროლელთა სპეციალობით;
4. კათედრის მასწავლებლის — 5 საშტატო ერთეული მოტომსროლელთა სპეციალობით.

*II. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის შტაბში:*
1. შტაბის უფროსი მასწავლებლის — 1 საშტატო ერთეული.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

*ცნობებისათვის მიმართეთ აკადემიის კადრების განყოფილებას. მისამართი — ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. №49; ტ: 23-09-02.*

# ველოსიპედები მოიპარეს

**კალიფორნიაში, ახალგაზრდული ველომარათონის დაწყების წინ, დაუდგენელმა პირებმა მოიპარეს ველოსიპედები. შეჯიბრების ორგანიზატორებმა დახმარების თხოვნით მიმართეს ადგილობრივ მოსახლეობას და უკვე 5 ველოსიპედის თანხა შეაგროვეს. საყიდელი კიდევ ოცია, შეჯიბრების დაწყებამდე კი ერთი კვირა რჩება.**

# დეიმონ ჰილი: „შუმახერი „ფორმულა-1"-ს დატოვებს"!

**ბრიტანელმა ავტომრბოლმა დეიმონ ჰილმა განაცხადა, რომ მისი ყოფილი მეტოქე მიხაელ შუმახერი მიმდინარე წელს დატოვებს „ფორმულა-1"-ს.**




„მე ყურადღებით ვაკვირდები შუმახერის ასპარეზობას. ვგრძნობ, რომ წლის ბოლოს ის ავტოპილოტობაზე ხელს აიღებს" — თქვა „ფორმულა-1"-ში მსოფლიოს 1996 წლის ჩემპიონმა გაზეთ „სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში. მისი აზრით, ავტომრბოლის კარიერაში დგება მომენტი, როცა მან უნდა გადაწყვიტოს გააგრძელოს თუ არა ასპარეზობა და მიხაელიც ახლა სწორედ ამ ეტაპამდეა.

სხვათა შორის, მსოფლიოს ექსჩემპიონი ავტოპილოტი დეიმონ ჰილი კვლავ „ფორმულა-1"-ის ავტომანქანის საჭეს მიუჯდება. აგვისტოში ის გამოვა „ტანდერის" ფესტივალზე, სადაც საზოგადოების წინაშე წარსდგება „ფორმულა-1"-ის ორადგილიანი ბოლიდით...

ფესტივალის პროგრამაშია შეჯიბრება 12 წრეზე. ჰილი უკანასკნელად ბოლიდის საჭეს 1999 წელს მიუჯდა იაპონიის „გრან-პრის" გათამაშების დროს. სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ ჰილმა ჟურნალისტობას მიჰყო ხელი. გარდა ამისა, ის თავის მუსიკალურ ჯგუფთან „ჰოთრონდსთან" ერთად ატარებს კონცერტებს.




# ლენს არმსტრონგი „ტურ დე ფრანსის" მოგებასაც აპირებს

**ამერიკელმა ველომრბოლმა ლენს არმსტრონგმა განაცხადა, რომ დარწმუნებულია, აუცილებლად გაიმარჯვებს წლევანდელ „ტურ დე ფრანსში", რომელიც 6-28 ივლისს პარიზში ჩატარდება. „გასულ წლებთან შედარებით უფრო კარგ სპორტულ ფორმაში ვარ. მართალია, რბოლაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ საკუთარ ძალებში ღრმად ვარ დარწმუნებული" – განაცხადა მრბოლმა.**

# ლაზუტინას სკანდალმა ახალი გაგრძელება ჰპოვა

*რუსი მოთხილამურეების ლარისა ლაზუტინასა და ოლგა დანილოვას საქმემ სკანდალური გაგრძელება ჰპოვა. მათი აპელაციის განხილვა, რომელიც საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 17 ივლისს ლოზანაში უნდა განეხილა, გაურკვეველი ვადით გადაიდო.*

*შეგახსენებთ, რომ რუსმა სპორტსმენებმა საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სანქციის პასუხად. ამ უკანასკნელმა დოპინგის გამოყენების ბრალდებით შეჯიბრებიდან მოხსნა რუსეთის ქალთა ნაკრები სოლტ-ლეიკ-სიტიში ოლიმპიური თამაშების დროს. შემდგომში ლაზუტინას ჩამოართვეს ოქროს მედალი, რომელიც მან 30 კმ დისტანციაზე შეჯიბრებაში მოიპოვა.*

*ლაზუტინასა და დანილოვას საარბიტრაჟო სასამართლოს იმედი ჰქონდათ, თუმცა რამდენიმე დღის წინ ამ ორგანიზაციიდან რუსეთის ეოკ-ის სახელზე მივიდა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ საარბიტრაჟო სასამართლო ვერ წავა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინააღმდეგ. (?)*



*აშკარაა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მძიმე მდგომარეობაშია. ლაზუტინა-დანილოვას დუეტის სასამართლოში გამარჯვების შემთხვევაში ჩრდილი მიადგება სოკ-ის პრეზიდენტის ჟაკ როგის ავტორიტეტს. რუსი სპორტსმენების აზრით, სწორედ ამიტომაც გადაიდო 17 ივლისის ლოზანას სხდომა.*

# ფელიქს ტრინიდადმა რინგი მიატოვა

სახელგანთქმულმა პუერტორიკოელმა მოკრივემ ფელიქს ტრინიდადმა საბოლოოდ მიატოვა რინგი. „იბფ"სა და „ვბც"-ს ვერსიით მსოფლიოს ექს-ჩემპიონი აღარ დაელოდა მატჩ-რევანშს ბერნარდ ჰოპკინსთან, რომელთანაც ამას წინათ დამარცხდა და ეს წაგება ერთადერთი აღმოჩნდა ტრინიდადის ბრწყინვალე კარიერაში. პროფესიულ რინგზე მან 41 გამარჯვების მოპოვება შეძლო.

# აუიტა ავსტრალიელ მორბენლებს გაწვრთნის

**მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ყოფილი ჩემპიონი საიდ აუიტა ავსტრალიელ მორბენალთა გუნდს ჩაუდგა სათავეში. სახელგანთქმულმა მაროკოელმა 3-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ავსტრალიის სპორტის ინსტიტუტთან. ის სპორტსმენებს 2008 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მოამზადებს.**

**შეგახსენებთ, რომ აუიტა მსოფლიო რეკორდსმენია 1500, 2000, 3000 და 5000 მეტრზე რბენებში.**

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

სპორტი ცისფერ ეკრანზე

5 – 7 ივლისი

### 5 ივლისი, პარასკევი

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* ჩოგბურთი. უიმბლდონს ტურნირის მიმოხილვა (18.55, 2.00), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი" (10.45, 22.40), ***НТВ плюс футбол.*** ვიხსენებთ განვლილ სეზონს: ინგლისის ჩემპიონატი (13.15), „FUTBOL MUNDIAL" (14.55), ჩემპიონთა ლიგა 2001-2002 (15.25, 21.30), ჰოლანდიის ჩემპიონატი (19.20), იტალიის ჩემპიონატი (23.15). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი: ქალები. ნახევარფინალები (12.15), ვაჟები. ნახევარფინალები (17.00), ტაილანდური კრივი (15.50). ***EUROSPORT.*** ველოსპორტი. ტურ-დე-ფრანსი (15.30), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (17.00), ფეხბურთი. უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის კლასიკა (18.00).

### 6 ივლისი, შაბათი

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* ჩოგბურთი: უიმბლდონის ტურნირი. მიმოხილვა (10.00), ქალთა ფინალი (18.20), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი" (23.40), ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი: ჰოლანდიის ჩემპიონატი (13.15), ჩემპიონთა ლიგა 2001-2002 (21.15), იტალიის ჩემპიონატი (17.15), ესპანეთის ჩემპიონატი (19.30), „FUTBOL MUNDIAL" (23.00), გერმანიის ჩემპიონატი (23.30). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი: ვაჟები. ნახევარფინალი (11.45), ქალთა ფინალი (18.00), სინქრონული ცურვა. ევროპის ჩემპიონატი იუნიორთა შორის (20.45), „დიდი რინგი" (22.25), ტაილანდური კრივი (1.45), *EUROSPORT.* საცხენოსნო სპორტი „Самсунг"-ის ეროვნებათა თასი (12.00), ველოსპორტი. ტურ-დე-ფრანსი (13.00, 20.30), საპლაჟო ფრენბურთი. ქალები (17.00), „ფორმულა-3000". საერთაშორისო ჩემპიონატი (19.00). *ტელეკომპანია VII არხი.* სტუდია „ერა". "კასკადიორები" (00.20).

### 7 ივლისი, კვირა

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* ჩოგბურთი. უიბლდონის ტურნირი. ვაჟთა ფინალი (18.20). *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი" (23.30), *მე-9 არხი.* „მსოფლიო ფეხბურთი" (19.30). ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი: გერმანიის ჩემპიონატი (13.15), ჩემპიონთა ლიგა 2001-2002 (15.05, 22.50), ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის (19.20), უკრაინის ჩემპიონატი (20.55), იტალიის ჩემპიონატი (0.35). ***НТВ плюс спорт.*** სინქრონული ცურვა. იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი (14.45), ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი: ვაჟთა ფინალი (18.00), წყვილთა ფინალი (1.20). ***EUROSPORT.*** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00), საპლაჟო ფრენბურთი. ვაჟები (16.45, 3.15), ველოსპორტი. ტურ-დე-ფრანსი (18.15, 22.00, 1.00). ***ტელეკომპანია VII არხი.*** სტუდია „ერა". „კასკადიორები" (01.20).

# ფიდეს მორიგი რეიტინგი

GENS UNA SUMUS

ფიდემ გამოაქვეყნა მორიგი რეიტინგი, რომლის პირველ საფეხურზე 2838 ქულით გარი კასპაროვია, მეორე ადგილზეა ვლადიმერ კრამნიკი — 2807. მათ გარდა, საუკეთესო ათეულში შედიან: 3. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — 2755, 4. მაიკლ ადამსი (ინგლისი) — 2752, 5. ვესელინ ტოპალევი (ბულგარეთი) — 2745, 6. რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) — 2743, 7. ევგენი ბარეევი (რუსეთი) — 2726, 8. პეტერ ლეკო (უნგრეთი) — 2717, 9. ალექსანდრე მოროზევიჩი (რუსეთი) — 2716, 10. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — 2711.

მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი 2687 ქულით მეჩვიდმეტე ადგილზეა.

# კროსვორდი № 51



თარაზულად: 7. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში, 8. სამ და ოთხ წლიან ცხენთა დოღი, 9. განფენითი კომბინაცია რაგბში, 11. ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველი, 12. ორპირთვიანი სატანვარჯიშო იარაღი, 13. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, რომელიც „ბორდოდაც" მოიხსენიება, 14. წარსულში ქართველი რადიოკომენტატორის სახელი, 15. გფრ-ის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, 16. ყოფილი ფრუნზეს საფეხბურთო კლუბი.

შვეულად: 1. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 2. თვითმფრინავიდან მოსიმაღლე მხტომელი, 3. ვეტერანი ჩეხი ჩოგბურთელი ვაჟი, 4. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 5. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 6. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა, 10. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 11. ალპინისტთა გამცილებელი, 13. სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც ავლენს დასაჯილდოებელ სპორტსმენს, 17. კორეის საფეხბურთო ნაკრებში ყველაზე მეტი ერთნაირი გვარი.

## კროსვორდი №50. პასუხები

თარაზულად: 1. ჰელსინკი, 7. „დინამო", 8. „იბერია", 10. „პორტუ", 13. კრივი, 14. ოოსელიანი, 16. ურო, 17. „ტატრა", 19. კრამლინგი, 20. ფილია.
შვეულად: 2. ეიფე, 3. „სარაგოსა", 4. ნოა, 5. ენდო, 6. „ბორუსია", 9. ბალტაჩა, 11. როი, 12. ციურიხი, 13. კისრული, 15. რინგი, 17. ტური, 18. ინი.

# საჭადრაკო ამოცანა

ვ. იზაპერი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. მფe5!
1. ...მფb2 2. ლb1+ მფa3 3. კe7X.
2. ...მფ:c3 3. კa5X.
1. ...მფd3 2. ლe2+ მფ:c3 3. კa5X.
1. ...b2 2. ლd1+ მფ:c3 3. კa5X.
1. ...e2 2. ლ:e2+ მფ:c3 3. კa5X.
2. ...მფc1 3. კg5X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com